Ministry of Justice and Security

თქვენ დაგაკავეს დაპატიმრების ევროპული ორდერის საფუძველზე და გადაგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში ან სხვა ადგილზე დასაკითხად. რა არის თქვენი უფლებები?

Georgisch

ევროკავშირის ერთ-ერთმა წევრმა სახელმწიფომ თქვენზე გასცა დაპატიმრების ევროპული ორდერი იმიტომ, რომ ეჭვმიტანილი ხართ დანაშაულის ჩადენაში ან სასამართლოს მიერ უკვე დამნაშავედ ხართ ცნობილი წევრ ქვეყანაში. ამ ქვეყანამ ნიდერლანდებს სთხოვა თქვენი გადაცემა და აქედან გამომდინარე, დაგაკავათ პოლიციამ, ნიდერლანდების სამეფო სამხედრო პოლიციამ ან სხვა ნიდერლანდურმა საგამოძიებო სამსახურმა. მნიშვნელოვანია, რომ კარგად გაიაზროთ თქვენი უფლებები. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ეს ინფორმაცია.

რა მოხდება შემდეგ?

თქვენ დაგაკავეს და გადაგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. ბრალმდებელი ან ბრალმდებლის თანაშემწე ახლა გადაწყვეტს, უნდა დარჩეთ თუ არა პოლიციის განყოფილებაში. პოლიციის განყოფილებაში მაქსიმუმ სამი დღე დარჩებით. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალმდებელმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ პოლიციის განყოფილებაში კიდევ სამი დღით დარჩეთ. ამას ვუწოდებთ „საექსტრადიციო დაკავებას“.

- სამ (მაქსიმუმ ექვს) დღეში თქვენთვის ბრალის წაყენება მოხდება ამსტერდამის სასამართლოს გამომძიებელი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. გამომძიებელი მაგისტრატი მოსამართლე გადაწყვეტს, დარჩებით თუ არა პატიმრობაში. პატიმრობაში დატოვების შემთხვევაში თქვენ გადაგიყვანენ წინასწარი დაკავების საკანში.
- სამოც დღეში (მაქსიმუმ ოთხმოცდაათ დღეში) ამსტერდამის სასამართლოში ჩაინიშნება საჯარო მოსმენა. მოსმენაზე შეფასდება გადაცემის მოთხოვნა, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ არის გაცემული. თქვენ გაქვთ უფლება, დაესწროთ საჯარო მოსმენას (ადვოკატთან ერთად) და მოგისმინოთ ამსტერდამის სასამართლომ, მაგრამ ასევე, შეგიძლიათ, უარი თქვათ დასწრებაზე.
- არ გსურთ საკუთარი თავის წარდგენა? ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა შეიძლება წარმოადგინოს თქვენი ინტერესები და ისაუბროს თქვენი სახელით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი „საექსტრადიციო დაკავება“ შეჩერებულია, სასამართლოში გამოცხადება **აუცილებელია**.
- მოსმენის შემდეგ არაუგვიანეს ორი კვირისა ამსტერდამის სასამართლო გადაწყვეტს, დააკმაყოფილოს თუ არა გადაცემის მოთხოვნა. გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პრინციპში, მოთხოვნის გამცემ ევროკავშირის წევრ ქვეყანას გადაგცემენ 10 დღეში.

დაჩქარებული პროცედურა

ამასთანავე, შეგიძლიათ, დაეთანხმოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ გაცემულ მოთხოვნას გადაცემასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში თქვენს საკითხზე საჯარო მოსმენა არ გაიმართება ამსტერდამის სასამართლოში. თუ გადაცემას დაეთანხმებით, პროცედურა უფრო სწრაფად ჩატარდება.

მოკლე ვადაში მოსამართლეს უნდა განუცხადოთ, რომ გადაცემას ეთანხმებით. ადვოკატს შეუძლია დასწრება. ამას ეწოდება „დაჩქარებული პროცედურა“. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს გადაცემის მოთხოვნას, მოთხოვნის გამცემ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში გადაგიყვანენ 10 დღეში.

გადაცემაზე დათანხმებას თავისი შედეგი მოჰყვება:

- აზრს ვერ შეიცვლით მას შემდეგ, რაც მოსამართლის წინაშე განაცხადებთ, რომ გადაცემაზე თანახმა ხართ;

მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატთან გქონდეთ გულდასმითი კონსულტაცია, სანამ გადაცემაზე დათანხმებას აირჩევთ.

რა უფლებები გაქვთ?

- არ ხართ ვალდებული, უპასუხოთ შეკითხვებს (დუმილის უფლება);
- თქვენ გაქვთ უფლება, ადვოკატმა წარმოადგინოს თქვენი ინტერესები;
- თქვენ გაქვთ უფლება, ისარგებლოთ თარჯიმნის დახმარებით;
- თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ სამედიცინო მომსახურება.

დუმილის უფლება

არ ხართ ვალდებული, განცხადება გააკეთოთ სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე. არ ხართ ვალდებული, უპასუხოთ გამომძიებლების, საჯარო ბრალმდებლის (მისი თანაშემწის) ან მაგისტრატი მოსამართლის შეკითხვებს.

ადვოკატის ყოლის უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, ადვოკატმა წარმოადგინოს თქვენი ინტერესები; თქვენი დაპატიმრების შემდეგ პოლიცია უზრუნველყოფს, რომ ადვოკატი დაგიკავშირდეთ მაქსიმალურად სწრაფად. თუ უკვე იცნობთ ადვოკატს, რომელთანაც გსურთ კონსულტაცია, ესეც შესაძლებელია. მაქსიმალურად სწრაფად უთხარით პოლიციას, თუ რომელიმე კონკრეტული ადვოკატი გირჩევნიათ.

ადვოკატთან საუბარი ყოველთვის შეგიძლიათ კონფიდენციალურობის დაცვით. თქვენი ნებართვის გარეშე ადვოკატმა სხვებს არ უნდა ესაუბროს თქვენი საქმის შესახებ. საჯარო ბრალმდებლის (მისი თანაშემწის) მიერ დაკითხვის დაწყებამდე შეგიძლიათ, ადვოკატთან გქონდეთ მაქსიმუმ ნახევარსაათიანი კონსულტაცია.

ადვოკატს შეუძლია დაკითხვაზე დასწრება. პოლიციაში მოსასვლელად ადვოკატს რაღაც დრო შეიძლება დასჭირდეს. ის პოლიციის განყოფილებაში ორი საათის განმავლობაში უნდა მოვიდეს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. დაკითხვის დაწყება არ შეიძლება ადვოკატის გარეშე, თუ თქვენ გარკვევით არ მიუთითებთ, რომ უარს ამბობთ იურიდიული დახმარების უფლებაზე ამ დაკითხვისას. დაკითხვის შემდეგ საჯარო ბრალმდებელი (მისი თანაშემწე) გადაწყვეტს, უნდა დარჩეთ თუ არა უფრო დიდხანს პოლიციის განყოფილებაში.

თუ პოლიცია დაიქირავებს ადვოკატს თქვენთვის, მომსახურების საფასურის გადახდა არ მოგიწევთ. ხოლო თუ თქვენ აირჩევთ ადვოკატს, ხარჯების გადახდა თავად მოგიწევთ გარკვეულ შემთხვევებში. თქვენი პერსონალური მონაცემები გადაეცემა „იურიდიული დახმარების საბჭოს“ და დამუშავდება მათ ბაზებში.

ასევე, შეგიძლიათ, ბრალმდებელს სთხოვოთ ადვოკატის აყვანა ევროკავშირის იმ წევრ ქვეყანაში, რომელმაც დაპატიმრების ევროპული ორდერი გასცა თქვენზე. აღნიშნულ ადვოკატს შეუძლია, ნიდერლანდელ ადვოკატს ინფორმაცია მიაწოდოს ევროკავშირის იმ წევრ ქვეყანაში სამართალწარმოების შესახებ, რომელმაც თქვენზე დაპატიმრების ევროპული ორდერი გასცა.

ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის ხელისუფლებმა, რომელმაც თქვენზე დაპატიმრების ევროპული ორდერი გასცა შეიძლება მოგაწოდონ ინფორმაცია იქ ადვოკატის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ამის ორგანიზება თქვენ თვითონ უნდა მოახდინოთ, მაგრამ ნიდერლანდელ ადვოკატს შეუძლია დახმარება.

რას აკეთებს ადვოკატი?

ადვოკატი წარმოადგენს თქვენ ინტერესებს და დახმარებას გიწევთ გადაცემის პროცედურის განმავლობაში: პოლიციის მიერ დაკითხვისას, გამომძიებელი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ბრალის წაყენებისას და ამსტერდამის სასამართლოში საჯარო მოსმენისას.

ადვოკატი:
- აგიხსნით, როგორ მუშაობს ეს პროცედურა;
- აგიხსნით თქვენს უფლებებსა და ვალდებულებებს;
- მოგცემთ იურიდიულ რჩევას;
- თქვენი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის თქვენს ოჯახს, მეგობრებს ან დამსაქმებელს (თუ ეს გსურთ);
- დაუკავშირდება თქვენს ადვოკატს იმ ქვეყანაში, რომელმაც გადაცემა მოითხოვა;
- თქვენი სახელით ისაუბრებს სასამართლოში.

თარჯიმნის ყოლის უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, ისარგებლოთ თარჯიმნის დახმარებით, თუ ვერ საუბრობთ ან ვერ იგებთ ნიდერლანდურ ენას (კარგად). იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეგიძლიათ ნიდერლანდურ ენაზე საუბარი და/ან გაგება,

თქვენ გაქვთ უფლება, ისარგებლოთ თარჯიმნის დახმარებით. უთხარით პოლიციას, რომ მათი არ გესმით ან კარგად ვერ იგებთ და თქვენთვის მოიწვევენ თარჯიმანს. თარჯიმანი ასევე დაგეხმარებათ ადვოკატთან გასაუბრებისას. თქვენი ნებართვის გარეშე თარჯიმანმა თქვენი საქმის შესახებ არ უნდა ილაპარაკოს. თქვენ არ გაქვთ თარჯიმნის მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება.

სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ სამედიცინო მომსახურება. უთხარით პოლიციას, თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, ექიმის ნახვა გსურთ ან სამედიცინო დახმარება გჭირდებათ. ამასთან ერთად, პოლიციას უთხარით, თუ იღებთ (და გჭირდებათ) წამალი.

სხვა უფლებები

თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ დაპატიმრების ევროპული ორდერის ასლი. თუ ორდერი შედგენილია ენაზე, რომელსაც ვერ იგებთ, უფლება გაქვთ, მიიღოთ ძირითადი სექციების თარგმანი.

თუ ნიდერლანდების მოქალაქე არ ხართ, შეგიძლიათ, გამომძიებელს სთხოვოთ, რომ თქვენი დაკავების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს თქვენი ქვეყნის საკონსულოს ან საელჩოს.

შეკითხვები გაქვთ?

კიდევ დაგრჩათ შეკითხვები? ასეთ შემთხვევაში შეკითხვით მიმართეთ ნიდერლანდელ ადვოკატს ან გამომძიებელს.

კოლოფონი

ეს საინფორმაციო ფურცელი წარმოადგენს იუსტიციისა და უსაფრთხოების სამინისტროს პოლიციისა და უსაფრთხოების რეგიონების გენერალური დირექტორატის პუბლიკაციას

PO Box 20301 | 2500 EH The Hague

ოქტომბერი 2024 | 24407239

ამ საინფორმაციო ფურცლის შიგთავსიდან ვერანაირი უფლება ვერ წარმოგეშობათ.